<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №21-22, 14.06.1998, გვ. 6) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^2 პუნქტი:

„7^2. სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ აღიარების შემთხვევაში, უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი.“.

2. მე-6^1 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი არ უნდა აღემატებოდეს 40000 ლარს.“

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^3 მუხლი:

„მუხლი 6^3. სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ აღიარების შემთხვევაში, უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი

1. სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ აღიარების შემთხვევაში, უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადამხდელია მშენებლობადასრულებული ობიექტის სამშენებლო დოკუმენტაციით განსაზღვრული მშენებლობის დამკვეთი ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან/და ამხანაგობა.

2. სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ აღიარების შემთხვევაში, უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით ნაწარმოები

მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესსა და ოდენობას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

3. სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ აღიარების შემთხვევაში, უნებართვოდ ან სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი არ უნდა აღემატებოდეს 40000 ლარს.“

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს ამ კანონის გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**